ვფიცავ მას, ვის ხელშიცაა ჩემი სული, ეს სურა ყურანის მესამედის ტოლფასია

აბუ საიდ ალ-ხუდრის (ალლაჰი იყოს კმაყოფილი) გადმოცემის თანახმად, მან თქვა: რომ ერთმა კაცმა მოისმინა, რომ ერთი კაცი კითხულობდა: {თქვი, იგი ალლაჰი ერთადერთია} და მას იმეორებდა მთელი ღამე, როდესაც გათენდა, ის მივიდა ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მას ამის შესახებ უამბო, და თითქოს ამ კაცს ეცოტავებოდა ეს სურა, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვფიცავ მას, ვის ხელშიცაა ჩემი სული, ეს სურა ყურანის მესამედის ტოლფასია».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

აბუ საიდ ალ-ხუდრიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ახსენა ერთი კაცი, რომელმაც მოისმინა სხვა კაცისგან, რომ ის კითხულობდა {თქვი, იგი ალლაჰი ერთადერთია /ყულ ჰუვა ალლაჰუ ა'ჰად} და ამ სურას იმეორებდა მთელი ღამე და მას არაფერს ამატებდა, როდესაც გათენდა ეს პიროვნება მივიდა ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ამის შესახებ უამბო, შეკითხვის მქონე ადამიანს, ვინც შუამავალთან მივიდა თითქოს ეცოტავებოდა მხოლოდ ამ სურის კითხვა, და მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა) თქვა: მისი სიტყვების გასამყარებლად და დაიფიცა: ვფიცავ მას, ვის ხელშიცაა ჩემი სიცოცხლე, ეს სურა ყურანის მესამედის ტოლფასია.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65261

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee